

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გია_2019“
ცემენტის წარმოების საამქრო (კლინკერის, თაბაშირისა და
დანამატების დაფქვით)

(ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №72. ს.კ. 02.07.03.031 და 02.07.03.032)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (წერილი # N 21/5429,
20/09/2022) დამატებით მოთხოვნილი და დაზუსტებული ინფორმაცია

მოთხოვნა 1.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის გამოთვლები ჩატარებულია დაბინძურების 12 წყაროსათვის და მათში არ არის გათვალისწინებული მტვერის გამოყოფა კაზმის მომზადების პროცესში, კაზმის მოსამზადებელ მოედანზე. ამავ დროს გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწყობიდან ნედლეული (კლინკერი, თაბაშირი და მინერალური დანამატი) დადგენილი რეცეპტის შესაბამისად ავტომტვირთავის საშუალებით, გადაიტანება ბეტონის მოედანზე და აირევა“. კაზმის მომზადების პროცესში წარმოშობილმა მტვერმა კი შეიძლება გამოიწვიოს დაბინძურების დონის მცირე მატება.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი:

როგორც გზმ-ს ანგარიშშია აღნიშნული, კაზმისათვის საჭირო ნედლეული საწყობდება სასაწყობო ტერიტორიაზე, შემდგომ ის მიეწოდება შესაბამის მიმღებ ბუნკერებს და შესაბამისი რეცეპტით ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება უკვე კაზმი წისქვილს.

სასაწყობო ტერიტორიაზე ხდება ნედლეულის დასაწყობება, შენახვა და შემდგომ ხდება საწყობიდან შესაბამისი რეცეპტით (რაოდენობების მიხედვით) მისი მიწოდება მიმღებ ბუნკერებში.


მოთხოვნა 2.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „ცემენტის დაფქვის არსებული წისქვილისათვის, ასევე ახალი დასამონტაჟებელი წისქვილისათვის, შერჩეულია **ორსაფეხურიანი** მტვერდამჭერი სისტემა, ციკლონი და სახელოებიანი ფილტრები“, რაც წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტის მე-7 თავში წარმოდგენილ ინფორმაციასთან, სადაც აღნიშნულია, რომ „ცემენტის სეპარატიული საფქვავე წისქვილი აღჭურვილი იქნება ეფექტური აირგამწმენდი სამსაფეხურიანი სისტემით: I საფეხური - დამლექი კამერა 10 %-იანი ეფექტურობით, II საფეხური - ციკლონი (ლოკოკინა) 70 %-იანი ეფექტურობით, რომლის დიამეტრია 1.2 მ, სიმაღლე 2.4 მ და III - სახელოებიანი ფილტრები 99.9 %-იანი ეფექტურობით“. გზმ-ის ანგარიშში - ტექნოლოგიურ სქემასა და ნახაზებში არაა განხილული „ციკლონის“ არსებობა და მდებარეობა. ხაზგასმულია და ნაჩვენებია მხოლოდ სახელოებიანი ფილტრები. ამასთან, გაფრქვევების ანგარიშში გ-2 წყაროდან (საპროექტო წისქვილი) გაფრქვევების გამოთვლისას გათვალისწინებულია დამლექი კამერა. შესაბამისად, დეტალურ დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხები და არსებულ და საპროექტო წისქვილებზე გათვალისწინებული მტვერდამჭერი სისტემები, ხოლო გაფრქვევების ანგარიში საჭიროებს შესაბამის კორექტირებას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);

პასუხი:

წისქვილი აღჭურვილი იქნება ეფექტური აირგამწმენდი სამსაფეხურიანი სისტემით: I საფეხური - დამლექი კამერა 10 %-იანი ეფექტურობით, II საფეხური - ციკლონი (ლოკოკინა) 70 %-იანი ეფექტურობით, რომლის დიამეტრია 1.2 მ, სიმაღლე 2.4 მ და III - სახელოებიანი ფილტრები 99.9 %-იანი ეფექტურობით“.

ცემენტის წისქვილზე დამონტაჟებული მტვერდამჭერი მტვერდამჭერი სისტემების სრული აღწერა მოცემულია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფ 7-ში.



ნახ. სახელოებიანი ფილტრების მუშაობის ზოგადი ტიპური ტექნოლოგიური ნახაზი.

მოთხოვნა 3.

პროგრამა „ეკოლოგ-3“-ით ჩატარებულ გამოთვლებში გაფრქვევის წყარო - გ-1-ის სიმაღლე და გამონაფრქვევის ტემპერატურა არის შესაბამისად 14 მ და 90°C. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული საწარმოს 2021 წლის გზშ-ის ანგარიშში, იმავე წყაროს (5 ტ წარმადობის წისქვილი) აღნიშნული პარამეტრები არის 9 მ და 60°C. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული პარამეტრების მნიშვნელობები;

პასუხი:

საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილების შემდეგ მოხდება არსებული 5 ტ/სთ წარმადობის წისქვილის გაფრქვევის მილის პარამეტრის ცვლილება, მისი სიმაღლე გაიზრდება 9 მეტრიდან 14 მეტრამდე.

მოთხოვნა 4.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გამოთვლებისას გათვალისწინებულია საწარმოს ახლოს მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევები და ფონური დაბინძურება ქ. რუსთავის მოსახლეობის მიხედვით. თუმცა, საწარმოს მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ეკოლოგიურად დატვირთულ ინდუსტრიული ზონას და შპს

„გია_2019“-დან მოშორებით მდებარეობენ საწარმოები (მაგ. შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხანა, შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმო და სხვა) რომლებიც ახდენენ დამატებით გავლენას ატმოსფერულ ჰაერზე და ზრდიან ფონური დაბინძურების დონეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი გამოთვლებით მიღებული მტვრის კონცენტრაციები დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე კრიტიკულად მაღალია (0.98 ზდკ), აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას და შესაბამისად დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების წარმოდგენას;

პასუხი:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გამოთვლებისას გათვალისწინებული იქნა საწარმოს ახლოს მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევები, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოდან გაფრქვევის ინტენსივობები და შესაბამისი ცლილებებით წარმოგიდგენთ კორექტირებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს;

როგორც გათვლებმა აჩვენა, მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობების სიდიდე უახლოს დასახლებულ პუნქტთან მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოიწვია, კერძოდ ცემენტის მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობა 0.98 ზდკ გაიზარდა 0.01 ზდკ-ით და გახდა 0.99 ზდკ, ხოლო არაორგანული მტვრის მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები პრაქტიკულად არ შეიცვალა. ეს უმნიშვნელო ცვლილება გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული საწარმოების შიშორით, კერძოდ შპს „რუსელოისი“ მდებარეობს საწარმოდან ჩრდილოეთით (მოსახლე მდებარეობს სამხრეთი მიმართულებით) 450 მეტრში, ხოლო შპს „მეგა ცემენტი“ ჩრდილო-დასავლეთით ასევე 450 მეტრში.

მოთხოვნა 5.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციების ანგარიშისას კუმულაციურ ზემოქმედებაში გათვალისწინებული იქნება შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“ და შპს „სოლოს“ ცემენტის ქარხნებიდან გაფრქვევის წყაროები“, თუმცა დოკუმენტში ფონურ წყაროებში გათვალისწინებულია მხოლოდ „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“ გაფრქვევის წყაროები. ამასთან, აღწერილი კუმულაციური ზემოქმედება ზოგადია და საჭიროებს დეტალიზაციას კონკრეტულ მაჩვენებლებსა და მონაცემებზე დაყრდნობით;

პასუხი:

კუმულაციურ ზემოქმედებაში გათვალისწინებულ იქნება შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის ქარხნებიდან გაფრქვევის წყაროები, რომლებიც ხვდებიან 500 მეტრიან რადიუსის ზონაში, ხოლო შპს „სოლო“ არ მდებარეობს 500 მეტრიან რადიუსის ზონაში.

მოთხოვნა 6.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში ფონურ დამაბინძურებლად, როგორც უკვე აღინიშნა გათვალისწინებული არაა შპს „მეგა ცემენტი“. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების ცხრილის თანახმად, „რადგან შპს „მეგა ცემენტი“ არ მდებარეობს უშუალო სიახლოვეს, მისი კუმულაციური ზემოქმედება გათვალისწინებულია ფონურ მაჩვენებლებში ქალაქის მოსახლეობის

რიცხოვნობის მიხედვით“, თუმცა, მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ შპს „მეგა ცემენტის“ საწარმოს ტერიტორია ხვდება შპს „გია_2019“-ის საწარმოს 500-მეტრიანი რადიუსის ზონაში. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, აღნიშნული საწარმოების გაფრქვევის წყაროების ჩვენებით და კოორდინატების მითითებით. ამასთან, საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში მოქცეული საწარმოების გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნას ფონურ მაჩვენებლებად;

პასუხი:

კუმულაციურ ზემოქმედებაში გათვალისწინებულ იქნება შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის ქარხნებიდან გაფრქვევის წყაროები, რომლებიც ხვდებიან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში.

მოთხოვნა 7.

ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

პასუხი:

წარმოდგენილი იქნა კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში არსებული საწარმოების გათვალისწინებით;

მოთხოვნა 8.

დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს ჩანაწერი - „საწარმოში ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არასწორი მართვის რისკები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არასახიფათო ნარჩენების (მაკულატურა) წინასწარ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია გარკვეულწილად წარმოადგენს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების წყაროს.“

პასუხი:

გზმ-ს ანგარიშში ტერმინი „მაკულატურა“ ხარვეზის სახით არის გაპარული, ის არ უნდა იყოს.

მოთხოვნა 9.

ასევე კორექტირებას საჭიროებს ცხრილი 1 (საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა) და ცხრილი 2 (გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა), სადაც მოცემულია ძალადაკარგული კანონების/კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი. ამასთან ბუნდოვანია როგორც დოკუმენტში გამოყენებულ ცნებათა განმარტებები, ასევე აღნიშნული განმარტებების საჭიროება და მათი საკანონმდებლო საფუძველი. აღნიშნული განმარტებები მოცემულია სხვადასხვა ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტებიდან.

პასუხი:

გამოყენებულ ცნებათა განმარტებები

1. „გარემო“ – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;
2. „ბუნებრივი გარემო“ – გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;
3. „გარემოს დაცვა“ – ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას, რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი;
4. არატექნიკური რეზიუმე – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დამგეგმავი ორგანოს/საქმიანობის განმახორციელებლის, სტრატეგიული დოკუმენტის/საქმიანობის განხორციელების ადგილის, გარემოზე/ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და თან ერთვის გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა.
6. გარემოზე ზემოქმედება – სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებზე ზემოქმედებას: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი, ლანდშაფტი და დაცული ტერიტორიები. გარემოზე ზემოქმედება მოიცავს აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია მათი ცვლილებით;
7. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. გზშ მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას;

8. გზშ-ის ანგარიში – საქმიანობის განმახორციელებლის ან/და საქმიანობის განმახორციელებლისთვის კონსულტანტის მიერ გზშ-ის პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
9. დაინტერესებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელსაც შესაძლოა აინტერესებდეს სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ან რომელზედაც ზემოქმედებას მოახდენს ან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ამ გადაწყვეტილებამ. დაინტერესებულ საზოგადოებას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზნებიც დაკავშირებულია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან;
10. ექსპერტიზა – ექსპერტიზის დასკვნის მომზადების მიზნით, დადგენილი წესით შექმნილი საექსპერტო კომისიის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებათა ერთობლიობა;
11. კონსულტანტი – პირი, რომელსაც აქვს გზშ-ის ანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვალიფიკაცია, სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები;
12. მინისტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;
13. სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
14. საქმიანობა – სამშენებლო, საწარმოო და სამონტაჟო სამუშაოები, ან სხვა საქმიანობა, მათ შორის, მინერალური რესურსების მოპოვება/გადამუშავება, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;
15. საქმიანობის განმახორციელებელი – პირი, ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელსაც სურს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება;
16. სკოპინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს;
17. სკოპინგის ანგარიში – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას;
18. სკოპინგის განცხადება – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგეგმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს;
19. რეგულირების ობიექტი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი (მათ შორის, საქმიანობის სუბიექტი), სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელზედაც ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები;
20. ბიომრავალფეროვნება – გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური

კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.

21. წყალსარგებლობა – წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ;

22. წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

23. ატმოსფერული ჰაერი – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობანაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

24. მავნე ნივთიერება – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

25. ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

26. სახიფათო ნარჩენები – ნარჩენები, რომლებსაც აქვს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;

27. საყოფაცხოვრებო ნარჩენები – საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

28. თხევადი ნარჩენები – თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები;

29. ევროკავშირის კანონმდებლობა – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს, ევროგაერთიანების საბჭოს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული დებულებები, გადაწყვეტილებები და დირექტივები;

30. საქართველოს „წითელი ნუსხა“ – საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი;

31. საქართველოს „წითელი წიგნი“ – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქართველოს „წითელნუსხაში“ შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგილსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკფაქტორების შესახებ;

32. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები – გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბიოლოგიური სახეობები ან/და მათი სხვა ტაქსონომიური ერთეულები, რომელთა რაოდენობისა და გავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება ან სხვა გარემოებები მიუთითებს მათი დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობაზე;

33. „არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები“ (ამპ) – არის მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, უქარო ამინდი ან ქარის მცირე სიჩქარე, ტემპერატურული ინვერსია და ა.შ.), რომლებიც ზღუდავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებას და, ამდენად, ხელს უწყობენ მავნე ნივთიერებათა დაგროვებას და შესაბამისად დაბინძურების გაზრდას მოცემულ ტერიტორიაზე;

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნორმატიული და სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამღლება არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის

ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინება და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 37). ამ უფლებათა დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისი კანონები ასახავენ სახელმწიფოს პოზიციას ამ სფეროში, ითვალისწინებენ საერთაშორისო რიგი კონვენციების მოთხოვნებს და მოიცავენ გარემოს დაცვის ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონები და საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ამოცანასთან.

გარემოსდაცვითი კანონები

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში მიღებულია შემდეგი კანონები:

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს შემდეგი გარემოსდაცვითი კანონები (იხილეთ ცხრილი 1)

ცხრილი 1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	06/09/2013
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/02/2014
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	19/04/2013
2003	საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“	410.000.000.05.001.000.186	06/09/2013
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	20/02/2014
2015	ნარჩენების მართვის კოდექსი	360.160.000.05.001.017.608	21/12/2016
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.	360160000.05.001.018492	01.01. 2018

გარემოსდაცვითი ქვენორმატიული აქტები

საქართველოში მოქმედებს გარემოს დაცვის სფეროში სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით მიღებული იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც მოცემულია 2 ცხრილში.

ცხრილი 2. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	საქართველოს მთავრობის დადგენილების სათაური, რომლითაც დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი
10.01.2014 №17	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №408
10.01.2014 №22	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №413
10.01.2014 №23	ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №414
10.01.2014 №43	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტორივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტორივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამოზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტორივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №435
10.01.2014 №76	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №17
10.01.2014 №80	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №21
10.01.2014 №97	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	06.01.2014 №42
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით	06.01.2014 N415
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით	06.01.2014 N440
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“	06.01.2014 N445
04.08.2015	კომპანის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი	მინისტრის ბრძანება N211
11.08.2015	ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშების განხორციელების ფორმა და შინაარსი	11.08.2015 N422
17.08.2015	სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაცია	17.08.2015 N426
27.04.2021	„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.	27.04.2021 N 192

გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები

საქართველოში გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში, სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) სიდიდეები რეგლამენტირებულია. მათ საფუძველზე შესაძლებელია მავნე ნივთიერებების წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა.

«საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები» დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 17.09.96წ. №130 ბრძანებით. ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასაშვები წყალი არ გამოიწვევს წყალსატევში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის გაზრდას დადგენილი ნორმების ზევით და წყლის მომხმარებელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ დონემდე. წყლის ხარისხზე საქართველოში შემუშავებული სტანდარტები მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს.

ჰაერის ხარისხის სტანდარტები დაფუძნებულია საქართველოს კანონზე «ატმოსფერული ჰაერის შესახებ». აქროლადი ნივთიერებების ზდკ ჰაერში დადგენილია 0,5 და 24 საათის საშუალო სიდიდეების მიხედვით და ეფუძნება ქიმიური ნივთიერებების იმ კონცენტრაციას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის რეფლექტორულ სუნთქვით აქტივობაზე.

გარემოსდაცვითი სტანდარტები ადგენენ გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მოთხოვნებს და განსაზღვრავენ წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციებს (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება).

სახიფათო ნივთიერებების ემისიის/ჩაშვების (წყალში, ჰაერში, ნიადაგის გარემოში) კვოტები განსაზღვრავს დაბინძურების ყველა წყაროსთვის ემისიის/ჩაშვების მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეებს. ნივთიერებების ჩამონათვალი მოცემულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული (№139, 25.11.1997) სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან გაფრქვეული სახიფათო ნივთიერებების საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ დებულების შესაბამისად.

წყლის ობიექტებში სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების კვოტები (MPC) განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტისთვის ინდივიდუალურად.

საქართველოში მოქმედი წყლის ხარისხის სტანდარტები შეესაბამება ISO რეკომენდაციებს.

მოთხოვნა 10.

წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების შესახებ.

პასუხი:

დავით შეყილოაძე, შპს „ზეციხელი 2010“-ს დირექტორი;

მომზადებული პრაგრაფები:


- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნორმატიული და სამართლებრივი ასპექტები;
- გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტორები
- გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზი;
- ნარჩენების მართვის გეგმა
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავების წინადადებები პროექტის განხორციელების, მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებისათვის
- ძირითადი შედეგები და დასკვნები

შპს „გეოსერვისი“-ს დირექტორი მ. ლაბაძე

მომზადებული პრაგრაფები:

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები.

შპს გეოსერვისი
 დირექტორი — *მ. ლაბაძე*



მომზადებული პრაგრაფები:

- კლიმატურ-ი პირობები; ზედაპირული წყლები;
- ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი;
- შესაძლო ავარიული სიტუაციების ანალიზი და შემარბილებელი ღონისძიებები საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის პირობები

ლევანი ცქვიტინიძე - ექსპერტ-ეკოლოგი;

- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები;
- დაცული ტერიტორიები

ნინო ურთქმელიძე - ქიმიკოსი;

- გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებები

ცქვიტინიძე აზა - ბიოლოგი.

ბიომრავალფეროვნება; ნიადაგები

მ. ლაბაძე

ნ. ურთქმელიძე

ა. ცქვიტინიძე